

რელიგია, როგორც იდეოლოგია და მისი გავლენა პიროვნებასა თუ
საზოგადოებაზე

თორნიკე ჭელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სახელოვნებო თეორიისა
და პრაქტიკის კვლევებისა და კულტურის მენეჯერის მაგისტრისაკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საკონტაქტო ინფორმაცია (tornike.tchelidze.f@gmail.com 571 01 80 92)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ხეთაგური
აკადემიური ხარისხი: სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის თემას წარმოადგენს რელიგიის როლი თანამედროვე საზოგადოებებსა და პიროვნებებზე, ასევე ის, თუ როგორ იქცევა ესათუის რელიგია იდეოლოგიად და ხდება სხვადასხვა პოლიტიკური თუ ძალაუფლების მქონე ჯგუფებისათვის საჭირო იარაღი. კვლევაში ნაჩვენებია როგორც მსოფლიო მაგალითები და სხვადასხვა სტატისტიკა, ასევე, ძირითადად, საქართველოში არსებული ვითარება.

საკვლევი თემა დღესდღეობით ძალიან აქტუალურია საქართველოში, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორებს, რომ საქართველო მრავალ ეთნიკური ქვეყანაა და მრავალი რელიგიის მიმდევარი ცხოვრობს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაფიქსირდა რელიგიური კონფლიქტები, ყოველწლიურად იზდრება მართლმადიდებელ აღმსარებელთა რიცხვი, იცვლება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა და ყველა ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

რელიგიასთან დაკავშირებით ხშირად ტარდება კვლევები საქართველოში, თუმცა თუ რა გავლენას ახდენს იდეოლოგიად ქცეული რელიგია პიროვნებაზე, როგორ დომინირებს ერთი რომელიმე რელიგია და აქვს თუ არა პიროვნებას-სოციალურ ჯგუფს რეალური მორალური თუ ფიზიკურ-სულიერი საყრდენი საკუთარი აღმსარებლობის წიაღში, ასეთი ტიპის კვლევა არ ჩატარებულა.

მეტად მნიშვნელოვანია დადგინდეს ყველა ზემოთქმული შეკითხვა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელი და ეკლესიურია, ქვეყანაში ძალიან დიდია ე.წ. აბორტის, სუიციდის, სოციოპათიის ფაქტები. ამ დროს კი მნიშვნელოვანია, რომ დადგინდეს, თუ რა როლი აკისრია ამ მოვლენათა წარმართვაში სხვადასხვა რელიგიებს, წამახალისებლის, თუ პირიქით.